ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3299409

ნომერი: AR1508734

თარიღი : 30.05.2017

გაცემის თარიღი : 06.06.2017

გაცნობის თარიღი : 06.06.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , წინამძღვრიშვილი , N 135 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა წაქაძე პ/ნ 01024023438
- თბილისი ბახტრიონის ქ. N 16 ბ. 125

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
1. „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ერთ სამშენებლო მიწის ნაკვეთზე რამდენიმე სხვადასხვა შენობის განთავსების შემთხვევაში, ამ თავით განსაზღვრული მოთხოვნები ხორციელდება ამავე სამშენებლო მიწის ნაკვეთზე, წარმოსახვითი სამეზობლო საზღვრ(ებ)ის დადგენის საფუძველზე (ანუ ერთ სამშენებლო მიწის ნაკვეთზე ისე უნდა განთავსდეს ერთზე მეტი სხვადასხვა შენობა, როგორც ამ თავის მოთხოვნათა შესაბამისად ერთმანეთის მომიჯნავე სხვადასხვა სამშენებლო მიწის ნაკვეთზეა ერთმანეთის მიმართ განთავსებული). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დასაკორექტირებელია საპროექტო დოკუმენტაცია.
2. მოთხოვნის ტექსტურ ნაწილში განიმარტოს ინფორმაცია როგორ მოხდება საპროექტო შენობა-ნაგებობების განთავსება არსებულ საკომუნიკაციო მილებთან მიმართებაში. დამატებით დაზუსტდეს საპროექტო შენობა-ნაგებობების ფუნქციური დანიშნულება.
3. ესკიზურ გეგმაზე დატანილ იქნას არსებული შენობიდან საპროექტო შენობამდე დაშორების მანძილი.
4. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად ფართზე ფიქსირდება იპოთეკა, წარმოდგენილი იქნეს იპოთეკის საფუძველი და საჭიროების შემთხვევაში, იპოთეკარის თანხმობა. ამას გარდა, საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ასევე ფიქსირდება სარგებლობა, საჭიროა წარმოდგენილი იქნეს მოიჯარის თანხმობა (დამოწმებული სათანადო წესით) განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.